ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 01/69

წინამდებარე ხელსშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, 2019 წლის 3 ოქტომბერს, შემდეგ მხარეებს შორის:

1. **კლიენტი** სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური საიდენტიფიკაციო კოდი 205296650, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი ქ. №2, წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის გიორგი ჩიფჩიურის სახით.

2. **შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდა“** საიდენტიფიკაციო კოდი 203 843 396, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №4, წარმოდგენილი ღონისძიებების კოორდინატორის, თეა ამირიძის სახით (შემდგომში: კომპანია)

კლიენტი და კომპანია შემდგომში, ხელშეკრულების შინაარსიდან ან/და კონტექსტიდან გამომდინარე ისევე იწოდებიან ცალ ცალკე როგორც მხარე და ერთობლივად როგორც მხარეები.

იმის გათვალისწინებით რომ:

(1) კომპანიას საკუთრების უფლებით ეკუთვნის თბილისში, მთაწმინდის ზედა პლატოზე არსებული უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი 01.15.06.001.001) – მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა; შენობაში განთავსებულია რამდენიმე მაღალი კლასის კვების ობეიქტი - რესტორანი, ლაუნჯ ბარი და ა.შ (შემდგომში რესტორანი)

(2) კლიენტს სურს ისარგებლოს კომპანიის საკუთრებაში არსებული რესტორნის მომსახურებით საკუთარი წარმომადგენლებისა და სტუმრებისთვის, ხოლო კომპანია თანახმაა კლიენტს გაუწიოს ასეთი მომსახურება

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ,,რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურეობების“ შესყიდვა (შემდგომში „მომსახურება“) (CPV კოდი: 55300000) წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, კლიენტი უკვეთავს, ხოლო კომპანია კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს კლიენტს მომსახურება კომპანიის საკუთრებაში არსებულ რესტორანში.

1.2. მხარეების მიერ მომსახურების შეთანხმებული დეტალები და პირობები, როგორიცაა: მომსახურების კონკრეტული სახე და აღწერა (სადილი, ვახშამი და ა.შ) რესტორანში შემავალი იმ ობიექტის დასახელება (რესტორანი, ლაუნჯ-ბარი და ა.შ) , სადაც კლიენტმა უნდა მიიღოს მომსახურება; პირთა რაოდენობა, რომელსაც მომსახურება უნდა გაუწიოს კომპანიამ, მენიუ, რომელიც შეთავაზებულ უნდა იქნას მომსახურების მიმღებისთვის და ა.შ, აისახება „მომსახურების შეკვეთაში“, რომელიც შეადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შეკვეთა უნდა განხორციელდეს და დადასტურებულ იქნეს წერილობით, ფაქსის ან ელ-ფოსტის მეშვეობით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **3 000.00 (სამი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღურებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. მხარეთა ვალდებულებები

2.1. კომპანია ვალდებულია გაუწიოს კლიენტს მომსახურება მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

2.2. კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად გადაუხადოს კომპანიას მომსახურების ღირებულება.

2.3. კლიენტს შეუძლია გააუქმოს კომპანიისთვის წარდგენილი და მხარეთა მიერ შეთანხმებული „მომსახურების შეკვეთა“ მომსახურების გაწევის შეთანხმებულ დრომდე / საათამდე არანაკლებ 48 საათით ადრე მასზე რაიმე ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე. კლიენტის მიერ კომპანიისთვის წარდგენილი და მხარეთა მიერ შეთანხმებული „მომსახურების შეკვეთის“ მომსახურების გაწევის შეთანხმებულ დრომდე/ საათამდე არანაკლებ 24 საათით (მაგრამ არა უმეტეს 48 საათისა) ადრე გაუქმების შემთხვევაში კლიენტს დაეკისრება მომსახურების ღირებულების 30% გადახდის ვალდებულება. იმ შემთხვევაში თუ „მომსახურების შეკვეთა“ არ გაუქმდება, მაგრამ კლიენტი (მისი წარმომადგენლები/ სტუმრები) არ მიიღებს მომსახურებას (No show) ნებისმიერი მიზეზით (გარდა კომპანიის ბრალით გამოწვეული მიზეზის) , კლიენტს დაეკისრება მომსახურების სრული ღირებულების გადახდის ვალდებულება.

4. მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიის მიერ კლიენტისთვის გაწეული მომსახურების საფასური განისაზღვრება კლიენტის შეკვეთის შესაბამისად და აისახება კომპანიის მიერ გამოწერილ ინვოისებში.

ხოლო მომსახურების საფასურის 25% უნდა დაიფაროს მომსახურების მიღების დრეს.

ბ) თუ კლიენტი **იურიდიული პირია:** მომსახურების 100% უნდა დაიფაროს მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

გ)

%	თარიღი	გადასახდელი თანხა
100%	30.09.2019	მიღება-ჩაბარების საფუძველზე

3.3. კლიენტის მიერ მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია (1) მოშალოს ხელშეკრულება და უარი უთხრას კლიენტს მომსახურების გაწევაზე, ან (2) გაუწიოს კლიენტს მომსახურება და დააკისროს მას პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დრეზე მაგრამ არა უმეტეს მომსახურების ღირებულების 5% -ისა.

5. პასუხისმგებლობა

4.1 მხარე, რომელიც დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზიანი.

6. სხვადასხვა

5.1 დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე, ასევე დაუშვებელია ნებისმიერი დარღვევის უარყოფა და მასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება იმ მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელსაც არ დაურღვევია ხელშეკრულება.

5.2. ნებბისმიერი საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში ქართული კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4 მომსახურების გაწევა განხორციელდება ეტაპობრივად 2019 წლის 31 დეკემბრამდე.
5.5 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7. მხარეები:

კომპანია:

სახელწოდება **-შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდა“**
საიდენტიფიკაციო კოდი -203 843 396
იურიდიული მისამართი -ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #4.
საბანკო რეკვიზიტები -„თი-ბი-სი“ ბანკი
ბანკის კოდი Swift: TBCBGE22
ა/ნ GE31TB1100000023467236
ღონისძიების კოორდინატორი, თეა ამირიძე
ხელმოწერა

Tea Amiridze

Digitally signed by Tea Amiridze
Date: 2019.10.03 16:05:34 +04'00'

კლიენტი:

სახელწოდება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
საიდენტიფიკაციო კოდი 205296650
იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი ქ. №2
საბანკო რეკვიზიტები
სახელმწიფო ხაზინა
კოდი : 707667116

ხელმოწერა

მომსახურების შეკვეთა

1.	კლიენტის დასახელება	სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
2.	მომსახურების დასახელება	სარესტორნო მომსახურება
3.	მომსახურების ადგილი	ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #4.
4.	მომსახურების თარიღი და დრო	შეთანხმების შესაბამისად
5.	კლიენტის წარმომადგენლების/სტუმრების რაოდენობა	შეთანხმების შესაბამისად
6.	მაგიდების რაოდენობა	შეთანხმების შესაბამისად
7.	მენიუ	შეთანხმების შესაბამისად

კომპანია:

სახელწოდება **-შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდა“**
საიდენტიფიკაციო კოდი -203 843 396
იურიდიული მისამართი -ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #4.

საბანკო რეკვიზიტები -„თი-ბი-სი“ ბანკი
ბანკის კოდი Swift: TBCBGE22
ა/ნ GE31TB1100000023467236
ღონისძიების კოორდინატორი, თეა ამირიძე
ხელმოწერა

Tea Amiridze

Digitally signed by Tea Amiridze
Date: 2019.10.03 16:06:27 +04'00'

კლიენტი:

სახელწოდება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
საიდენტიფიკაციო კოდი 205296650
იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი ქ. №2
საბანკო რეკვიზიტები
სახელმწიფო ხაზინა
კოდი : 707667116

ხელმოწერა